


თ რ რ ა მ მ.

76627
2

ნიჲ

(ბესარიონ გაბაშვილის)
გენიპის
ცხოვრება და შემოქმედება.



გამომცემლობა „მ მ რ ა ნ ი“

ქუთაისი, სტამბა „ძობა“
1919.

გესარიონ გაბაშვილის პოეზია.

1. წინასიტყვა.

ქართველმა ერმა თავის მრავალ საუკუნიან ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში შექმნა მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გარემოცული იყო ძლიერი და დაუძინებელი მტრებით, რომელთა წინააღმდეგაც მას განუწყვეტლივ უზღებოდა ბრძოლა თავისი არსებობის დასაცავად, ჩვენ წინაპართა განუტეხელმა მხნეობამ და უშრეტმა სულიერმა ენერგიამ მაინც მოასწრო შეექმნა მრავალი ლიტერატურული, ფილოსოფიური და სასულიერო შინაარსის ნაწარმოებნი, რომელნიც ნათლათ მოწმობენ ჩვენი ერის მაღალ ნიჭიერებას და მის უსაზღვრო და შეუკავებელ მისწრაფებას ცოდნა-განათლებისადმი.

საკმაოა გავიხსენოთ ჩვენი ძველი დროის, კლასიკური ხანის და განახლების ეპოქის მწერლობის წარმომადგენელთა ზოგიერთი უკვდავი სახელი, რომ ჩვენთვის ცხადი შეიქნეს ქართველი ერის თავისუფალი არსებობის განმავლობაში შექმნილი სულიერი კულტურის სიდიადე და ფასდაუდებელი მნიშვნელობა.

სამწუხაროთ, ძლიერ ცოტაა იმისთანა განათ-
ლებული ქართველი, რომელიც დაახლოვებით მაინც
იცნობდეს ჩვენს ძველს დიდებულ მწერლობას.

მართალია, შოთა-რუსთველის სახელი ოითქმის
ყოველს ქართველ ინტელიგენტს აკერია პირზე, მაგ-
რამ „ვეფხისტყაოსანი“ თითო ოროლას თუ აქვს
წაკითხული და კიდევ უფრო ცოტას აქვს შეგნე-
ბული ამ გენიალური ქმნილების ლიტერატურული
ფასი და მისი საერო მნიშვნელობა. შავთელს, სარ-
გის თმოგველს, ჩახრუხადეს, საბა-სულხან ორბე-
ლიანს, დავით გურამიშვილს და ბესიკს მხოლოდ
სახელებით და თუ ვიცნობთ. ეფრ. მ. მცირის, იო-
ვანე პეტრიწისა და ვიორგი მთიშინდელის ბევრს
ქართველს სახელიც კი არ გაუგონია.

დღევანდელი ქართველობის ამნაირმა შემადრ-
წუნებელმა და მიუტევებელმა გულგრილობამ მდი-
დარი მშობლიური ლიტერატურის შესწავლისადმი,
ერთს თანამედროვე ნიჭიერ, ახალგაზრდა, ქართველ
მწერალს შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები წარ-
მოათქმევინა:

„ქართველი კლასიკური ნაწარმოები დღეს
მტკრიან წიგნთსაცავებსა და ნესტიან ზანდუკებში
სთვლენენ და ნოსიყვარულე ხელის შეხებას ელიან.
მაგრამ დიდი ნაშთები ჩვენში მოკრძალებას აღარ
იწვევენ. დღეს საქართველოში მოიპოვებიან გულ-
უბრყვილო ადამიანები, რომელთაც მტკიცეთ სჯე-
რათ, რომ ვინმე არციბაშევის რომანები ან ვინმე
ბალმონტის ლექსები, გურამიშვილისა და ბესიკის
ნაწარმოებზე უფრო მაღლა დგას. ეს, რასაკვირვე-
ლია, სულიერი სიმახინჯითა და უმეცრებით აიხსნება-

დედამიწის ზურგზე, ბევრი არაა ისეთი ხალხი, რომელსაც ჩვენსავით მდიდარი და დამთავრებული მწერლობა ჰქონდეს, მაგრამ გონებრივი ელამობის გამო როდი ვხედავთ ამ გარემოებას. ზოგიერთ ჩვენ მტერ-მოყვარეს დიდი ხნის ევოლიუცია დასჭირდება, სანამ იმ ესტეტიურსა და ზნეობრივ სიმაღლეს მიაწევდეს, რომელსაც ჩვენმა მწერლობამ და ბელოვნებამ მიაწია ჯერ კლასიკურ ეპოქასა და შემდეგ განათლების ხანაში.

ჩვენს ძველს და ახალ მწერლობაში დიდი სულიერი ენერჯიაა დამარხული. ძნელი წარმოსადგენია ცნობიერი ადამიანი, რომელსაც შოთა რუსთველის, საბა-სუღხან ორბელიანის, მეფის არჩილის, იოსებ თფილელის, დავით გურამიშვილის და ბესარიონ გაბაშვილის ნაწარმოები წაეკითხოს და სულიერი გათქაჩიზება და ზნეობრივი აღფრთოვანება არ ეგრძნოს.

თუ ჩვენ გვინდა საქართველოს სულიერ აღორძინებაზე ვიზრუნოთ, უპირველეს ყოვლისა იმ დაუშრე ჭელი სიბრძნისა და აღფრთოვანების წყაროს უნდა დავეწაფოთ, რომელსაც ქართული მწერლობა ჰქვია. დევების სისხლი, რომლითაც ქართული სტრიქონებია დაწერილი, ჩვენს მოდუნებულ ძარღვებს ზეადამიანურ ძალას შემატებს“.

ჩვენი დღევანდელი საუბრის საგანს შეადგენს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ერთი გამოჩენილი ქართველი მეოსნის, ბესარიონ გაბაშვილის, ცხოვრება და მისი შესანიშნავი პოეტური შემოქმედების შეძლებისა და გავარად განხილვა.

ბესარიონ გაბაშვილი, ქართულ მწერლობაში ბესიკის სახელით ცნობილი, მეთვრამეტე საუკუნის

ერთ უნაქიერეს და უშესანიშნავეს მგოსნათ უნდა ჩაითვალოს.

ბესიკის მშვენიერი და წარმტაცი ლექსები, მისი შესანიშნავი, როგორც შინაარსით, აგრეთვე ფორმით ოდები, პოემები და სატირა-ელეგიები, მდიდარი, ნაზი, მხატრული ენა და ორიგინალური ლექსთწყობა ნათლათ მოწმობენ ჩვენი მგოსნის მრავალ მხრივ შემოქმედებით ნიქს და მის დიად უნიშვნელობას ქართულ სიტყვა-კაზმული მწერლობისათვის.

სამწუხაროდ, ქართული სიტყვიერების მკვლევართ ჯერ კიდევ არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება ჩვენი მგოსნის სამწერლო მოღვაწეობისათვის. ჯერ კიდევ არ მოგვეპოება ბესიკის ნაწარმოებთა სრული კრებული, რადგან მეტათ ძნელი შეიქნა ყველა მისი საკუთარი ლექსის და ოდაპოემის შეკრება და გამოცემა. ზოგიერთი ლექსი, რომელაც ეხლანდელ მის კრებულშია შეტანილი, დღესაც სადაო გამხდარა, რადგანაც სარწმუნოთ არ არის გამორკვეული მათი ავტორის ნამდვილი ვინაობა.

ყველა ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო დღეს დღეობით ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ძვირფასი მგოსნის ლიტერატურული ღვაწლის ყოველმხრივი და სრული დახასიათება და მისთვის სამართლიანი მსჯავრის დადება. ჩვენი უმთავრესი მიზანია გავეცნოთ ბესიკის პირადულ ცხოვრებას და მისი უკვდავი კალმის ზოგიერთ საუკეთესო ნაწარმოებს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ერთადერთი სურვილით, აღვძრათ ინტერესი ჩვენი ნიქი-

დაისჯებიო, მაგრამ სიყვარულისაგან გავიქეპული მგოსანი ველარ ემორჩილება მეფის დადგენილებას. ერთხელ მან, სეირნობის დროს, ჩვეულებისამებრ, სასახლისაკენ ჩაიარა და აივანზე თვალი მოჰკრა ორ მანდილოსანს, შავათ შემოსილთ; ერთი მათგანი იყო ბატონიშვილი ანა. ამ შემთხვევის გამო ბესიკს გამოუთქვამს ლექსი „შაენი შაშენი“, რომელიც პალე პოპულიარული გამხდარა მთელ ქალაქში და მეფემდისაც მიუწვია. მეფე საშინლათ განრისხებულა და უბრძანებია ურჩი მგოსნის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ბესიკისათვის დროზე უკნობებიათ მეფის გადაწყვეტილება და საშანელი სასჯელის თავიდან ასაცილებლათ იმერეთს გაქცეულა იგი. აქ ბესიკს მეფის სოლომონ პირველის სასახლეში შეუფარებია თავი; ამ უკანასკნელს ძლიერ მოსწონებია ნიჭიერი, გონებამახვილი და განვითარებული მგოსანი, მიუცია მისთვის მრავალი ქონება და თავადობაც უწყალობებია. ცოტა ხნის შემდეგ, მეფას ნდობით აღჭურვილი ბესიკი, ყოველგვარ პასუხსაგებ მიწერ-მოწერის მწარმოებელი და მეფის ჯახლოესი მრჩეველი გამხდარა.

1779 წელს სოლომონ მეფე ბესიკს სპარსეთში გზავნის შაჰთან მოსალაპარაკებლათ; 1780 წელს მეფემ გადიხადა დიდი ომი, იმერეთის ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელით ცნობილი. ეს ომი ბესიკმა ვრცლათ და მხატვრულის კალმით აღწერა ერთს თავის შესანიშნავ ოდა-პოემაში.

სოლომონ მეფის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ადის მისი შორეული ნათესავი. დავითი. ბესიკი უმაღლესათ ინიშნება მეფის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლათ. აღსანიშნავია, რომ

ბესიკი, იმერეთში ყოფნის დროს, არ სწყვეტს მიწერ-მოწერას თავის ქა^ა თველ მეგობრებთან და განაგრძობს სატრფიალო ლექსების წერას ანა ბატონიშვილის მიმართ. ამ უჩემდობით და სასოწარკვეთილებით აღსავსე ლექსებში ბესიკი უჩივის თავის ბედს და მწარეთ მოსთქვამს თავის დაკარგული ბედნიერების გამო. ამნაირი შინაარსის არის ლექსები: „გამტყორცა სოფელმა“, „ეტრფის მთიებმა“, „ვაი ესე დრონი“, „სევდის ლაშქარი“ და სხვანი.

ამავე დროს ეკუთვნის მისი საუკეთესო ელეგიები, რომელიც მან უძღვნა თავის გულითად მეგობარს, სარდალს დავით ორბელიანს.

1789 წელს ბესიკი მეფის მინდობილობით რუსეთს მიდის, სადაც იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის დესპანთა კრებაზე, ვითარცა იმერეთის მეფის დავითის წარმომადგენელი. აქ ბესიკი შეიტყობს თავზარდამცემ ამბავს, თავის ღვთაების, ანა ბატონიშვილის გადაცვალების შესახებ. ამ გულისგამგვირავ ამბავს გამოუწვევია მისი ორი პატარა და მშვენიერი ლექსი: „ჰაერი ცივ-ნამიანი“ და „მოგშორდი სულსა“.

ამის შემდეგ აღარ გაუხარია ჩვენს მგოსნის ტანჯულ გულს.

1790 წელს ერთხელ კიდევ მოუხდა ბესიკს რუსეთში გამგზავრება დესპანათ მეფის ბიძაშვილის სვიზონიათურთ. მოსკოვში ბესიკმა ინახულა ქართველი ბატონიშვილები და შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა, საიდანაც, იძულებული შეიქნა რუმინის ქალაქ იასაში წასულიყო, რადგან იქ იმ დროს იმყოფებოდა ბესიკისათვის საჭირო პირი, გენერალი პატომკინი.

იასაში ბესიკი უეცრათ ავით გახდა და ვარდაიცვალა 24 იანვარს 1791 წელს, თავის ძვირფას სამშობლოს და გულის სატრფოს სამუდამოთ დაშორებული.

3. ბესიკის ლირიკა და მისი ეპიური ნაწარმოები.

ბესარიონ გაბაშვილის ნაწარმოები ორ ჯგუფად გაიყოფება: პირველ ჯგუფს ეკუთვნის მისი სამიჯნურო ლექსები, მეორეს კი მისი პოემა, ოდები და სატირები. აქ ჩვენ უმთავრესად მგოსნის ლირიკული ხასიათის ნაწარმოებზე გვექნება ბაისი, რადგანაც მათში ნათლად და სავსებით გამოიხატება ბესიკის ძლიერი შემოქიედებითი ნიჭი და მისი მხატვრული შემძლეობა.

ბესიკის ლირიკული ლექსების ერთადერთი საგანია უიმედო სიყვარული და ამისგან გამოწვეული უკმაყოფილება, როგორც თვისი ბედით აგრეთვე მთელი წუთისოფლით. მას შემდეგ, რაც მისმა გულის სატრფომ, ბატონიშვილმა ანამ, დაუხშო მგოსანს სამოთხის კარები და აღუკრძალა მასთან სიარული, მის გულს არ მოშორებია ვარამი და მწუხარება. ის მუდამ იმის ცდაშია დაარწმუნოს თვისი დამწველი არსება, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჰიუძღვის მის წინაშე, რომ ყველაფერი ის, რაც მას ბოროტმა ენებმა მიუტანეს მტკნარი სიკრუთა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, და უსაყვედურებს თავის სულის მეუფეს, რატომ მიენდო ის სხვის სიტყვებს და ასე სასტიკათ და შეუბრალოვით დასაჯა იგი. ბესიკი ეუბნება თავის გულის-მპყრობელს.

მე მივხვდი მაგა შენსა ბრალეებსა,
მე განგიცხადებ დანაბრალეებსა!
რად არა ჰრიდენ განსაკრძალეებსა,
ხელი რად მიჰყავ ძნელსა ვალეებსა?
რად მიჰყევ სხვათა ჰკუა-მთვრალეებსა...
ნებით მოშორდი მისა თვალეებსა?
რადგან ძლიერ ხარ შენისა ნებით
თავს რალას მართლობ თანის-თანებით?
ან რას იყოვნი ჟამსა ხანებით?
რას ინუგეშებ ცრემლსა ბანებით?
აგრე ვერ მომკი ვარდსა ყანებით!
რად გულს განიწონ საკვდათ დანებით?
სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალეებსა.

მგოსანი ემუღარება თავის სატრფოს გახადოს
ღირსი ერთხელ ხილვისა და დაატკბოს იგი მასთან
საუბრით და ეფიცება, რომ მუდამ მისი მონა-მორა-
ჩილი იქნება. აი ეს ლექსიც შესანიშნავი როგორც
გარეგანი ფორმით, აგრეთვე თავისებური ლექსთ-
წყობით:

ძოწნი ბაგენი.

ჩემნი მდაგენი

ჩემდა საუბრად აღძარ ენანი!

წელნი წერწეტნი

ეს თვალნი რეტნი

რომ ვერა გხედავ ბნელ, მაქ ყველანი!

ქეშმარიტებით,

არ მაქ ისებით,

გეტყვი სიტყვასა, — მომეც ლხენანი!

ხელთა დაგბაგებ

თუ არ განმაგდებ, --

მე შენი მალხენს ამბის სმენანი!

ხმა მასმინე საწადელი.

სიყვარული განაახლე!

ჯილოვანობ ტრფიალთათვის, —

გონებითა მიმიახლე!

ანა მექმენ უსაკუთრეს,

მე მონად მქენ, ვით მოახლე!

ჰოი, რა ვყო უბადრუკმან, —

ერთხელ ხილვად ვერ გიახლე!

მაგრამ, ამაყი და გულზვიადი მიჯნური ყურს არ ათხოვებს მის მალმერთებლის გულის სიღრმიდგან წარმოთქმულ სამართლიან და წრფელ საყვედურს და მის ხვეწნა-მუდარას. მაშინ მგოსანი გადასწყვეტს შევიდეს სევდის ბაღში, სადაც მისი ტურთა ვარდი ხელმწიფებს. მაგრამ რადგანაც ვარდთან მისვლა მას არ შეუძლია, იგი მოციქულებს გზავნის მასთან (ჯერ იას და შემდეგ ნარგიზს), რომლებმაც უნდა უშვამდგომლონ მგოსანს ვარდის ე. ი. თავის სატრფოს წინაშე, რათა მან მიიღოს იგი. აი ის მშვენიერი, სიმბოლური ლექსი, რომელშიაც მოთხრობილია მგოსნის გულის დარდი და ვარამი და მისგან გადადვებული პირველი გაბედული ნაბიჯი სატრფოსთან შესარიგებლათ და დასაახლოვებლათ.

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:

მოკრეფად მსურდა ვარდ კონები,

ვარდმან შემრისხა თავ მომწონები,

ისარი მტყორცნა დასამონები,

სრულად მიმიღო ყოველი ღონები;

იასა ვკითხე, — მუნ იდგა ნაზი:

ვარდსა რაუყავ კარსა სარაზი?

ამაყად ნწყრალი ვნახე ლამაზი!

მანკა გაპავდო: „გარეგან გაზი“,
შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი!

რა ია გაწყრა, ნარგიზს შიგმართე.
ღისხლის ცრემლითა სიტყუანი დავრთე:
ველებებოლი: „შენ წარჰიმართე
იწოოს გზის პონად! გზები გაქვს ფართე!
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე:
ვარდს მამულარე, აღერსი ჩართე!
შავ გულოსა ლხინი შენ მოუსართე!
შემომითვალოს, რა უკუდმართე?
რად შიჰიგონა მოუგონები?

ნარგიზი ენახე შებრალეებითა,
ცრემლსა სცვარვიდა ნორიდეებითა:
მითხრა: „ყარბო“ მონახებითა:
ვარდი მით არის გულ დაკლებითა,
რომ შენი იყო თავ-დადებითა, —
შენ რისთვის დასთმე სთვისა ხლებითა?
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა; —
რად გიკვირს, გასწყრეს, ცეცხ მოდებითა?
ნაცვალი მოგვხვდა დანახსოვრები!

ამგვარი შეუბრალეებელი პასუხით გულ-დათუ-
თქული და გონება მიღებული მგოსანი ჩაეკეცება,
ბალის კარებთან და მწარე ცრემლებით მოსთქვამს
თავის უბედობას და სივალალეს:

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალეები:
ბალის კარს დავექე შენაძალეები,
ცრემლით აღმევსენ მწირნი თვალეები;
ვიყავ ბედისა დამაბრალეები.
ვინკა მნახვიდენ დამაშვრალეები შეიქნებოდენ ჰირ
ნაკრძალეები.

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრწყალები!
 ბესიკი სიკვდილს არ ვეძალევი,
 თავი მაქვს მისთვის შინაწონები!

ამგვარივე შინაარსის არის ლექსი, „ბულბული
 შოდის მწუხარებით“. ბულბული აქ თვით შეყვარებუ-
 ლი მკოსანია, რომელსაც სურს კოკობი ვარდის
 ხილვა და ამ მიზნით ის ბაღში შესულა და მება-
 ლეს ემუდარება მიუშვას ვარდთან:

ბულბული შოდის მწუხარებით, ცრემლის დენითა:
 ვეჭვობ, მებალეს დაუტუქსავს ცეცხლ მოდებითა...
 ბულბულო, გადი ამ ბაღიდან შენის ნებითა,
 თორემ კრაზანა შენ დაგჩაგრავს ყოვლის გზებითა!



წადი, ბულბულო, შენ მებალეს შეჭფიცე რჯული,
 კრაზანს ავედრე, მოგიტეოს დანაშაული;
 ნარგიზთან კაცი გააგზანე: სრულ ქნან აღთქმული,
 მებალესთან დაგეხმაროს ვარდის ენითა:



ადე ბულბულო, ვარდის სიტყვით მებალე ნახე;
 თუ წყრომით იყოს, გარს შემოვლე, თავს დაემარხე;
 ბაღში, ეგები, შეგიყვანოს ნარგიზი ნახე:
 კოკობი ვარდი არ მივიღებს თავის ნებითა!

მაგრამ რადგანაც წადილი მას არ უსრულდე-
 ბა და ვარდის ხილვას ის აქვს ახერხებს, სიკვდილს
 და ნატრულს მისთვის მისი მგოსანი:

სიკედლო, მოდი,
მიიბარე ბუღბუღის სული!
მებაღემ დასწყლა და დაჰკოდა
ბუღბუღის გული!
მკვდარი პესიკი, მოდი,
მნახე ჩამიდგი სული, თუ გინდ, მიწასაც მი-
მაბარე.

მოყვრის ენითა!
აწაირათ, მგოსნის ცდა დაკარგული სამოთხის
მოპოვებისაკენ მიმართული სრულიად უნაყოფო შე-
იქნა. მაშინ უსასო და იმედ-დაკარგული მგოსანი
უსაზღვრო სევდა-მწუხარებას მიეცემა; მის თვალში
ყველაფერი ფასს კარგავს ამ მუხთალ და ვაებით
სავსე წუთისოფელში!

ეს სულიერი მდგომარეობა მგოსანს დიდი სიძ-
ლიერით და მხატრულათ აქვს გამოთქმული ლექს-
ში „დედოფალ ანაზედ“ და „გამტყორცა სოფელ-
მა“. მგოსანი ამბობს თავის თავზე:

„ჯარ ვინმე უცხო ყარიბი, ამა სიტყვათა
მხმოებელი,

ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი მგომბელი:
მონა ჯარ მისი მუდამ ჟამ და მისი შემამკობელი, —
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი!

ან და:

გამტყორცა სოფელმა, მოვშორდი მზესა;
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
ჩაყიფად შემექნა ბედივე ჩემი;
სიცოცხლეს და ვპოვებ ძნელად და ძნელად!

6.

უსულღეზურად⁷ გებვევი
უმანკოს აღნაგობასა⁸;
ფიქრით გულისათ შენთან ვარ,
ესმენულობ შენს უბნობასა!
ქება ამისთვის წარმოვსთქვი,—
ღირს ვიქმენ მეგობრობასა!
ღიმილით სიტყვა მასმინე,
ნუ მიწყენ ამის თბრობასა!

7.

ყვავილებრ სურნელ მყოფელო,
შორით მალხენო გულისა,
შენს ქებას ვით აღვასრულებ
ქვეყნად შხედ დასახულისა?!
ჩემებრ უმეცართ მონისა
ნახვით წამლებო სულისა,
ცნობა მიიღე, წერილის
ღირსი მქმენ, პავლეს თქმულისა!

8.

ძოწნი⁹ ბაგენი,
ჩემნი მლაგენი,
ჩემდა საუბრად აღსძარ ენანი!

გეტყვი სიტყვასა, — მომეც ლხენანი!
ხელთა დაგბაგებ¹⁰
აჲ არ განმაგდებ,—
მე შენი მალხენს ამბის სმენანი!

1. აღვხვამ—გავალვებ 2. ბაგე—ტუჩები 3. მკობილფ-
ბა--შემკობა 4. ბანოვანი—უმშვენიერესი ასული. 5. სინჯი—
ნაკლი 6. ცვილი—სანთელი 7. უსულღეზი—მცენარეა 8 აღნა-
გობა—აგებულება 9 ძოწნი--წითელი ფერი. 10. დაგბაგებ—
გაკოცებ.

სევდის ბაღს.

1.

სევდის ბაღს შეველო შენაღონები!¹
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები
ვარდმან შემრიხა თავ-მოშწონები,
ისარი მსტყორცნა დასამონები.
სრულათ მიმიღო² ყოვლი ღონები;
მითხრა; „იფიქრე გულს-ნაქონები;
მისთვის იქნები დასაყონები!“
ვერ მივხვედი მახვილ-განაწონები³;
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები⁴!

2.

„ასა ვჰკითხე, — მუნ იღვა ნაზი:
„ვარდსა რა ეუქმენ კართა სარაზი⁵?“
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი!
მანცა გამაგდო: „გარეგან—გაზი?,
„შენგან გვაჩნია გულეზსა ხაზი!
„სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი⁶!
„შენ გულსა ჰკითხე, მიაჰყარ გაზი!
„შენის გონებით იქნები რაზი⁷:
„ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები.

3.

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე;
ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად! გზები გაქვს ფართე!
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე¹⁰:
ვარდს მამუდარე, აღერსი ჩართე!
შავ-გულსა ღვინი შენ მოუსართე¹¹!
შემომითვალოს, რა უკუღმართე¹²?
რად მომიგონა მოუგონები?“

4.

ნარგიჯი ვნახე შებრალებითა,
კრემლსა სცვარვიდა მორიდებითა;
მითხრა: „ყარბო!“ მიწაზებითა:
„ვარდი მით არის გულ-დაკლებითა,
რომ შენი იყო თავ-დადებითა, —
„შენ რისთვის დაჭმე სხვისა ხლებითა,
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა; —
რაღ გიკვირს, გასწყურეს ცეცხლ-მოდებითა?
„ნაცვალი¹³ მოგხვდა დანახსოვნები!“

5.

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები;
ბალის კარს დავეჯიქ შენაძალები¹⁴,
კრემლით აღმევსნეს მწირნი¹⁵ თვალები;
ვიყავ ზედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები¹⁶.
შეიქნებოდენ ჭირ-ნაკრძალები¹⁷
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრკყალები!
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები¹⁸!

1. შენაღონებო — დაღონებული ვ. შიპილო — წამართვა
2. მახვილგანაწონები — ხმლით გაკვეთილი 1. ფანი — დაბალი
მღინარე 5. მუნ — იქ 6. სარაზი — დასაკეტი 7. გაზი — გადი.
8. დაზი — დაიწი 9. რაზი — დაკეტილი, დარაზული 10. ხელის
შემართვა — დახმარება, ხელის შეწყობა 11. მოუსართო — მო-
უმატე 12. უკუღმართობა — დანაშაულის ჩადენა 13. ნაცვალი
სამაგიერო 14. შენაძალები — ძღვეული, დამარცხებული 1
მწირი — გამომწარალი 16. დამაშვრალები — დაღლილი, და-
ჯნული. 17. ჭირ ნაკრძალები — ჭირს მოკლებული. 18. შე-
ნაწონები — შეწონილი.

სევდის ბაღს.

1.

სევდის ბაღს შეველო შენაღონები¹:
მოკრეტად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავ მოშწონები,
ისარი მსტყორცნა და ამონები.
სრულათ მიმიღო² ყოვლი ღონები;
მითხრა; „იფიქრე გულს-ნაქონები;
მისთვის იქნები დასაყოვნები!“
ვერ მივხვდი მახვილ-განაწონები³;
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები⁴!

2.

„ასა ვჰკითხე, — მუნ იდგა ნაზი:
„ვარდსა რა ვუქმენ კართა სარაზი⁵?“
ამაყად მწყრალი ვნაიე ლამაზი!
მანცა გამაგდო: „გარეგან — გაზი?,
„შენგან გვაჩნია გულგებსა ხაზი!
„სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი⁶!
„შენ გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი!
„შენის გონებით იქნები რაზი⁷:
„ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები.

3.

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე;
ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად! გზები გაქვს ფართე!
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე¹⁰:
ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე!
შავ-გულსა ღვინი შენ მოუსართე¹¹!
შემომითვალოს, რა უკუდმართე¹²?
რად მომიგონა მოუგონები?“

4.

ნარგიჯი ვნახე შებრალებითა,
კრემლისა სცვარკიდა მორიდებითა;
მითხრა: „ყარბო!“ მონაზებითა:
„ვარდი მით არის გულ-დაკლებითა,
„რომ შენი აუ თაუ-დადებითა,
„შენ რისთვის დაჭ!თმე სხვისა ხლებითა? —
„თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა; —
„რად გიკვირს, გასწყურეს ცეცხლ-მოდებითა?
„ნაცვალი¹³ მოგხვდა დანახსოვნები!“

5.

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები;
ბალის კარს დავეჯიქ შენაძალები¹⁴,
კრემლით აღმევსნეს მწირნი¹⁵ თვალები;
ვიყავ ზედისა დამბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალეები¹⁶.
შეიქნებოდენ ჭირ-ნაკრძალები¹⁷
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრკყალები!
ბესიკი სიკვდილს არ ვემალეები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები¹⁸!

1. შენაღონებო — დაღონებული ვ. შიმილო — წამართვა
3. მახვილგანაწონები — ხმლით გაკვეთილი 1. ფიანი — დაბალი
მდინარე 5. მუნ — იქ 6. სარაზი — დასაკეტი 7. გაზი — ვადი.
8. დაზი — დაიწი 9. რაზი — დაკეტილი, დარაზული 10. ხელის
შემართვა — დახმარება, ხელის შეწყობა 11. მოუსართე — მო-
უმატე 12. უკულმართობა — დანაშაულის ჩადენა 13. ნაცვალი
სამაგიერო 14. შენაძალები — ძლეული, დამარცხებული 1
მწირი — გამომწარალი 16. დამაშვრალეები — დაღლილი, და-
ქნცული. 17. ჭირ ნაკრძალები — ჭირს მოკლებული. 18. შე-
ნაწონები — შეწონილი.

ტანო ტატანო.

ტანო ტატანო¹, გულწამტანო², უცხოდ მარებო³!

ზილფო⁴-კაეებო მომკლავებო, ვერსაკარებო!
წარბ-წამწამ-თვალნო მისათვალნო⁵, შემაზარებო⁶?
ძონ⁷.ლალ⁸.ბაგეო⁹ დამდაგეო¹⁰, სულთწამერებო¹¹!
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

—

თვალთა ნარგისი¹² დამდავისი¹³ შეგშენის
მცველად,

ყელსა ბროლებსა უტოლებსა გველი¹⁴ აკვა მცველად,
გეხსნეს ხალები მაკრძლები¹⁵ აპარტის¹⁶ ველად,
ნარინჯნი¹⁷ ორნი ტოლნი-სწორნი მაქძოდენ ხელად,
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

—

აღვაო¹⁸, გეხსნეს ორნი ნორჩნი მოსარხვეელნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი, მოსახვეველნი;
ზარიფსა¹⁹ წელსა დაეკვირვენს²⁰ ქვეყანა მვლელნი;
ოდეს გნახვიდი, შევმატნი ათასი წელნი.
აწ დამღვევიან ყოვლნი დღენი, უცხოდ ვარებო²¹!

—

ბაგე მღუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან ხილვა შენი, კეველამარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა, რას შეგაფარდო?
თუმცა შენ დაგთმო, ვინლა ვპოვო, სადგავიზარდო?

უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო²²!
შენმა გონებამ²³ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს;

სიკოცხლის ნაცვლად მოვიანატრი სიკვდილსა მწა-
რეს.

მოდით, მიჯხუ⁴ნო, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს
არეს,

ბკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს?
ვაჟ, სიკოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო²⁴!

1. ტატანი—გამკვირვალე, ლამაზი. 2. გულწამტანი—
გულწარმტაუი, მომზიბლავი 3. მარები—მსკლელი. 4. ზილ-
ფი—თმა. 5. მისა ივალთ—თვალმისაკრუბი 6. შემაზარები—
თავზარის დამც.მი. 7. ძოწი—წითელი 8. დალი—წათელი
ბვირფასი ქვა 9. ბაგე—ტუჩები 10. დამდაჟე—დამწველი. 11.
სულთწამარები—სულის წამრთმევი. 12. ნარგისი—ყვავილია
(აქ ნიშნავს თვალს) 13. დამდაგისი—დამწველი 14. გველი—
ნაწნავები 15. მაკრძალები—რიდის, კრძაღვის აღმძვრელი.
16. ამარტი—მოწითალა ფერის ჯარვა 17. ნარინჯი—თეთრ-
წითელი. 18. ალვა—ალვის ხე 19. ზარიფი—წერწეტი, ლა-
მანათ აზრდილი 20. დავკვირვნეს—გაკვირდენ 21. ვარებ—
დავდივარ. 22. შევიზარებ—მეზიზღება 23. გონება—მოგონე-
ბა, ფიქრი 24. დანაცარები—დარღვეული, დაშლილი.

გამტყორცა სოფელმა.

გამტყორცა სოფელმა, მოვშორდი მზესა;
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
რაყიფად¹ შემექნა ბედივე ჩემი;
სიკოცხლეს და ვჰპოებ ძნელად და ძნელად!

2.

ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
ვინცა სცნობს წყეულსა, - დაეკრძალება²!
უნუგემოს მართებს მართლად ვაება,
სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად!

3.

მიჯნურთაგან რა გსურს, წუთი-სოფელიო,
ყოველთა მოღიქსეთ დამღუპებელიო?
ჩემებრ ბედ წარსულზედ გინდ ისახელიო?!
დანსვი გულ-მღულარედ, მწველად და მწველად!

1. რაყიფი—ორი ერთის მოტრფიალე 2. მოერიდება

ბულბული მოდის მწუხარებით.

ბულბული მოდის მწუხარებით, ცრემლის
დენითა:

ვექობ, მებაღეს დაუტუქსავს¹ ცეცხლმოდებითა.
ბულბულო, გადი ამ ბალიდან შენის ნებიითა,
თორემ კრაზანა შენ დაგზავრავს ყოვლის გზებითა!

წადი, ბულბულო, შენ მებაღეს შეჭფიცი რჯულიო,
კრაზინას ავედრე, მოგიტეოს დანაშაულიო;
ნარგისთან კაცი გაავზავნე: სრულ ქმნან² აღთქმული³,
მებაღესთან დაგეხმაროს ვარდის ენითა.

ადე, ბულბულო, ვარდის სიტყვით მებაღე ნახე:
თუ წყრომით იყოს, გარს შემოვლე, თავს დაემარხე;
ბალში, ეგები, შეგიყვანოს, ნარგიზი ნახე:
კოკობი ვარდი არ მივიღებს თავის ნებითა!...

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული:
მებაღემ დასწყა⁴ და დაჰკოდა ბულბულის გულიო?
მკვდარი ბესიკი, ზი დი, მნახე, ჩამიდგი სული,
თუგინდ, მიწასაც მიმბარე მოყვრის ენითა!

1. დატუქსავა--შერისხვა, გაჯავრება 2. სრულ ქმნა--
სრულება 3. აღთქმული--დაპირფებული 4. დასწყა--დაჭრა.

სევდის ლაშქარი.

1.

სევდის ლაშქარი შემომიხდება,
სურვილის ცეცხლი მომეკიდება,
სულთქმა და ტირილი გამიხშირდება,
საყვარლისა ჭკრეტა დამიძვირდება,
სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდება!

2.

სად მიდრკების მზე, სად უჩინარობს?
სად სთოვს ნათელსა, სად მონარნარობს?
სად იშლები ვარდი, სად მოცინარობს?
სად ნექტარებს წყარო, სად მომდინარობს?
სად მნათობს მნათობი, სად გაბრწყინდება?

3.

დავკარგე სატრფო ჩემი ცხოვრება!
დავკარგე განცხრომა და გახარება!
დავკარგე სამოთხე და უკვდავება!
დავკარგე მთოვარი, —ვის ემთვარება?
დავკარგე მინერვა, სიბრძნის დიდება!

4.

მომაკლდა უებრო კეთილობანი,
მომაკლდა ალერსი და ზრდილობანი;
მომაკლდა აშიკთა მორთულობანი,
მომაკლდა მუზიკა და ვალობანი!
მომაკლდა შექცევა, —გაცამშორდება!

5.

განოჩნდა კომეტა ქუფრ-ბინდობისა,
გამოჩნდა სოფელი უბედობისა;

გამოჩნდა შემთხვევა ძნიაღობისა¹,
გამოჩნდა ქალადი². სულთ-მხდელ-ობისა!
განშმაგლა ქვეყანა, ველად განხლება!

1. ძნიაღი—ძნელი 2. ქალადი—დიდი ქალა.

შაშენი შაშენი.

1.

შაენი შაშენი შავს გალიას შემსხდარნი,
სუფთად მხმობნი, ხმა—ყარიბად მსტვინაენი,
მრჩობლად¹ მხედნი, მით ერთითა პირითა.
მათებურად სალ გულთ ამატკივარნი,—

2.

გაზაფხულის შემოსვლისა მხმობელნი,
ია-ვარდ-ზამბახთა მახარობელნი,
სხვა ყვავილთა და სხვა ამბავთ მთხრობელნი,
შავ-ხავედ მოსილნი, ქუფრად მზინაენი. —

3.

ერთი ერთის მიმღვეარნი, ერთ-პირნი,
ორნი ერთის შესაპყრობლად მომპირნი,
საშიშარად შარას თვალ-შემ-ქვირნი,
ხან მოპკვლელ, ხან მომწყვლელ, ხან ცამლხინაენი,—

4.

შემოკრბით, მოდით, ენახოთ, ვინ არნი,
ორნი ტოლნი შავ-მოსვითა მჩინარნი,
არ მოწყენით მომღერალნი, მღიმარნი,
ყარიბისა ცრემლის დამადინარნი.

1. მრჩობლი—ორი 2. ქუფრი—შავი ფერი.

ჰაერი ცივ-ნამიანი

ჰაერი ცივ-ნამიანი,
ჩემთვის აღარ-ა დლიანი!
მას ვშორავ გულ-სევდიანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი!
ქუფრ-ხვევით, თვალ-კრემლიანი,
აღარა სადა ხმისანი,
თავ-მოხრით ვნახე იანი;
სხიენი ჰკლებოდეს მზისანი!

მოგზოვრდი სულსა.

მოგზოვრდი სულსა
აღნაჟ შვიკულსა,
ბრძენ-განკაზმულსა,
ანდამატ-გულსა,
ჩემთვის მოსრულსა,
გონება სრულსა!

ირაკლი მუჟის ჟება.

ღმერთო! ნოც დიდი დღე!
მტერზე განადლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლახაკთ მწე!
ირაკლი!

ვამკოთ ქართველთ ცხებული,
ღვათისგან განმეფებული,
დავითის შტო ქებული,
ირაკლი!

როს ქართლს აღმოუბრწყინდა,
ყოვლი მძლავრი შეშინდა,
მით სახელი განდიდა
ირაკლი!

აღაყვავა სჯულია,
ქრისტეს ბრძანებულია,
მოსცა მსჯავრი სრულია

ირაკლი!

ღმერთო! მოეც დიდი ღღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლახაკთ მწე

ირაკლი!

მარადის ებრძვის სპარსთა,
მახმედისა მოსავეთა³,
ბევრგზის სძლია ოსმალთა

ირაკლი!

ეზრახვის⁴ რუსთ-ხელმწიფე,
აღუთქვამს, ექმნას შემწე,
რადგან ოსმალთ არის მძლე⁵

ირაკლი!

ღმერთო! მოეც დიდი ღღე
მტერზე განაძლიერე
ობოლთ, ქვრივთა, გლახაკთ მწე

ირაკლი!

1. მწე—შემწე 2. მსჯავრი—სამართალი 3. მოსავე—
მორწმუნე 4. ეზრახვის—აქვს მოლაპარაკება 5. მძლე—დამ-
ძლეველი.

ასპინძის ომზედ.

1.

ასპინძის მიწა გიწამებს, — ურგებ არს ჩემგან
თქმულები!
რუს-ქართველ-კახნი მოადგნენ აწყურსა დარაზ-
მულები;

მუნით¹ წყალს—ლეკნი რჩეულნი, დაღისტანს ბი-
ჭად თნულები²,
და ოსმალთ რაზმნი ურიცხვად, მათთანვე შენარ-
თულები!

იქითი პირი მტკვარისა და ველნი მეწამულობ-
დეს³:
ოსმალთა დელიბაშეზი⁴ წითელ-ყვითლითა მკუ-
ლობდეს;
აბჯართა ოქრო და ვერცხლი ხვანთქრის ხაზინას
სძულობდეს;
კვლავ ლეკთა ყაწიმ-შაშხანან⁵ მკირედრე ხვარაზმუ-
ლობდეს⁶.

რუსნიცა/ წითელ-მწვანითა და ლურჯით შე-
ხამდებოდენ:
თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდენ, ვარსკვლავთა
ეგვანებოდენ,
ზარბაზნის გრგვინვა და თოფის ცის კიდეთ ეუბნე-
ბოდენ;
თვით მეფე ქართველ და კახნი ომის ხალისით
ხლდებოდენ⁷.

2.

ვაჟ! მის დღისა მომხსენმან ვითარ ვინ რით
განვაქიქო⁸!
ცილი დასდევს მეფეს რუსთა: „ჩვენთვის კეთილს
არა იქო!⁹“
ღრაფი ჯარით გამობრუნდა, - მით სახელი ვერა იქო¹⁰;
სხვა პასუხი არვის მისცა: „სითაც მოველ, წავალ იქო“¹¹

რა ნახეს ლეკთა და ოსმანთ რუსისა გამგ-
ზაერებანი,
წელმაგრად შეხვდათ ნიშანი, აუხდათ დანატრებანი:
დაფ-ზურნა-საყვირს უხშირეს, შეიქმნა საოცრებანი,
ვის ჰქონდის მკლავთა იმედი, სრულად დაჰკარგეს
მცნებანი⁹.

უიქოდ ჰკონეს ლეკ-ოსმანთ თქვენიცა გაბ-
რუნებანი:
დას-დასად დროშა გაიყვეს, მცირე ხანს ჰქონდათ
ბჭობანი...
ანაზდი¹⁰ ელდა¹¹ დაეცათ ქართლ-კახელთ, ექმნათ
გმობანი¹²:
ვინ ვის უსწრობდა, მორბოდეს... ვითა ვთქვა მა-
ტი მკობანი?

3.

გამოვლეს წყალი ოსმალთა
და აგრევ ლეკთა ყიყინით;
დელი ბაშ-ალა ლევენდი
სულ ზედ დაესხნეს მიყინით:
„დაბრუნდით, ნჯლარ დასდგეპით“...
ხმა ისმა: - „რას დაგვიყინით?...“
ერთის ხმა ასად ეგონისთ;
შაშხანა მოსწვიმს ყიყინით.

მაშინ გულს დაჰკარ მჯიღვითა¹³,
მიწანი შესძრენ რყევითა;
ცხენმან შეგატყო შექშენა;
შემზადა ტანი ნძრევითა;
თვალნი ნაკვერცხლად შეგვექნეს,
აშეთლი¹⁴ სისხლ-მორევითა;

ცხვირისა ნესტეთა მოჰქროდენ
ქარნი ქვიცნისა ნკრევითა.

მედგრად გაქუსლე მიდამო;
თეთრი გეაჯდა¹⁵ რბევასა;
სახლისა შვილნი იხელოენ,
ვინ იყვენენ შენთან ჩვივასა,
ათნი-სამ გინა თუ ოცნი
გისმენდნენ ოჰსა ძლევასა...
შავ გულო, საღ ხარ, შენ გეტყვი,
ვინ იყვი ჯილდო ძლევასა!

1. მუნით—იქიდგან 2. თნული—მიღებული, ბიკათ
თნულები—კარგ ვაყვაცებათ მიღებული. 3. მეწამელობდენ—
წითლათ იყვენ დაფარული ოსმალების წითელი ქუდებისა-
გან. 4. დელიბაშები—რჩეული ჯარისკაცები. 5. ყაწიში—
თასმები; შაშხანა—თოფი. 6. ხვარაზმული—ხვარაზში გაკე-
თებული, საუკეთესო ღირსების იარაღი. 7. ხლდებოდენ—
ხტებოდენ. 8. განქიკება—შერცხვენა. 9. ცნებანი—გონი,
გონება 10. ანაზდი—უეკარი, მოულოდნელი. 11. ელდა—
შიში. 12. გმობა—შერცხვენა, გაწბილება. 13. მჯილფი—მე-
შტი. 14. აშეთება—გახელება, გაგიყება. 15. გეაჯდა—გეზვე-
წებოდა.

მოღმართ¹. უყვილეთ გაქცეულთ;
იცნეს ხმა, შედგეს შენითა;
ყველაი შენთვის დაბრუნდა,
თუ ვინ საღ რბოდა ქშენითა;
გაქცეულთ თათართ ველარსით
გაგასწრეს წყალსა ცხენითა;
ხიდის ისარსა მისჯარენ²
სუნ-თათარ-ლეკნი რბენითა.

ზოგმან შემართა შიშითა
 წყალს გსვლა უფონობითა; -
 ზოგნი ერთმანერთს ხოცდიან,
 სრულად მიხდილნი ცნობითა:
 არ იცოდნიან, რამც ჰქნინან,
 ვერ იყვნენ ჰკუა ბრძნობითა.
 მიდამო ჰკაფდი უწყალოდ;
 მკვრეტნი გაქებდენ მხნობითა.

არ მიეც გზანი სავალად,
 ოდენ ისარი საცოცად:
 ერთი რა შედგის, უკანა
 წყალს გარდაადგის სახოცად.
 ძვირად შეექმნათ თავაზი;
 მუხლს გეხვეოდნენ საკოცად.
 ერთისა უიმედოთა
 ქართველთ აზოც ას ოცად.

4.

ზრმალი ჩააგენ მაძლარი,
 უბრძანეთ ალაფობანი⁵.
 გახდა ზრიალი, იპყრობდენ,
 ვით ცხოვართ სადმე ჩობანი.
 მეურდუეთა მოჰყვანდეს
 მათნი გამირებთა მჯობანი,
 მოულოცევდენ მეფესა,
 იეფლა კაცის მძლვნობანი.

ცხენნი მოჰყვანდეს ძვირფასნი,
 მისრის⁵ ნასყიდი ფლურებით,⁶
 წყლის მინაქონთა ვინ რიცხვდა,
 მომშთვართა თავ-მოძულეებით!

თოფნი და ხმალნი რჩეულნი
ყაწიმ ძეწკეგებით კრულებით.
მაშინ დაგთქოდენ შაირსა
სიბრძნით შემწვობნი მკულებით!

1. მოღმართ--აქეთკენ. 2. მიჯარვა—შირეკვა. 3. ალა-
ფი--ომში ნატაცი საქონელი. 4. ჩობანი—მეცხვარე, მენა-
ხირე. 5. მისრისი--ფევიპტე. 6. ფლური--ოქროს ფული.

რუხის ბრძოლა.

1780 წელს.

1.

მიმართვა.

ათინურთ¹, ენა ქველშესაძენა,²
შესხმის³ მოცალედ გშვენს წამის წამად!
პლატონ, უშიროს, პროკლეტურთ⁴ იროს⁵,
არისტოტელი ჰყვეს დასაწამად⁶!
ბრძენნი და მძენნი, ფრანგნი, ბერძენნი,
ჩრდილო-სამხრელნი ხმაშენადგამად⁷
მოკრბით სეფისდა⁸ ქებად მეფისდა,
სოლომონისდა⁹ ხილვად, სალამად!

2.

ომი ფიცხელი და მეფის გამარჯვება.

აწ ნახეთ ომი მკვრეტელთ სანდომი¹⁰:
მიდგნენ მარცხნითთა მარცხად¹¹ მცირენი;
კვისართ¹² ტოლი, შავ ჩოხით მძლოლი,
თეთრსა ზედან ზის თავგამწირენი;

გაჰყვა ვინ გულით,

მისთანა ბმულით,

ჭირსა ჭირობდეს არ ცუდ-მღირენი¹³;

გნოლოთ¹⁴ ჯოგთა ქორნი
ფრთე-შენასწორნი
როს ნახეს, გაფრთხენ ანატირენი.
მეფემ ვრნმე წითლოსანი
ერთი ნახა მათში ის როს,
მყის მიმართა, მიიკმაკნა:
„კარგი კარგმან უნდა სრისოს!“
მშვილდი ფიცხლად მოემარჯვა,
მაგრამ ხრმალი ვინ იკისროს?
ოდეს ისარს ხრმალი ბასრი
შეხვდეს, ველარ ღონით ისროს!.

3.

რომან ჩიჩუა.

მას ღღეს მსგავსი ავთანდილის,
შექურვილი¹⁵ ჯაკვით, ზუჩით¹⁶,
კისკასი და მკლავუებრო
მისდევს ხმლისა ხლაჩი-ხლუჩით;
ზოგნი ჩივან აფხაზები:
„სიო გავექციით, ვერ გაღვურჩით!“
ზოგთა წყლიდგან წამოითრევს,
ვით მეთევზე თევზს ლაყუჩით¹⁷.

4.

მნათობთა შური.

მზეს შეშურდა, მთვარეს იხმობს.
მოდგენ იგიც განაკიდე.
ვარსკვლავთ რაზმნი კოენს სცემდენ;
სხვაცა ვითხრა განა კიდე:

მარინს¹⁸ ხმალი სამესისხლო¹⁹

მოეწვალა განნაკიდე²⁰,

ცისა-მშვილდსა²¹ გარდაეცვა

კილო ისრის განაკიდე...

ვერძი მშვიდი, რისხვით მრქენი,

სისხლის მსმელობს, ვითარ ღვინის;

კურო, მედვრად მისეული,

დამთხვევლობს მათის ტვინის;

საქანელმა ღრუბელთ ჯერი

სისხლის წვიმად გარდუქცივნა;

თხის რქას ვაქებ; გრძლად იბრძოდა;

მიკვირს, თავი არ ეტყნა;

მშვილდოსანმან ჯილდო ირგო:

ტყვე ხუთანი ვარდირჩინა;

სასწორი ჰსწონს ნაალოფევს,

სარგებლადის მიაწინა²².

¹. ათინურთ—ათინური ფილოსოფოსნი. ². ქველი—კე-
თილი. ³. შესხმა—შემკობა. ⁴. პროკლე—ბერძენთ ფილო-
სოფოსი. ⁵. იროს—იაროს. ⁶. დასაწამად—მოსახმარებლათ.
⁷. ხმაშენადგამათ—ხმაშეწყობილათ. ⁸. სეფისდა—სამეფო
სახლი, სასახლე. ⁹. სოლომონ—ღიღი. ¹⁰. სანდომი—მო-
სანდომი. ¹¹. დამამარცხებლათ. ¹². კეისარი—ხელმწიფე. ¹³
არტუდ მღირენი—უღირსი. ¹⁴. გნოლი—ფრინველია. ¹⁵. შე-
ქურველი—შეიარაღებული. ¹⁶. ზუჩი—მუზარადი—რკინის
ჩაბალახი. ¹⁷. ლაყუჩი—თევზის ღრანჭები. ¹⁸. მარინი—
მარსი. ¹⁹. სამესისხლო—სისხლის მსმელი. ²⁰. გან—ნაკიდე—
განზე დაკიდებული. ²¹. ცისმშვილდი—ვარსკვლავი, ჯგუფი.
²². ე. ი. მიაწია, მივიდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

შესავალი	33.
1. ბესიკის ცხოვრება	3.
2. მგოსნის ლირიკა და მისი ეპიური ნაწარმოები	13.
3. გაბაშვილის რამდენიმე საუკეთესო ლექსი . . .	27.